შუმერული ქალაქი

ვუძღვნი ლელას

ტიგროსისა და ევფრატის აუზში, მის სამხრეთ ნაწილში, სადაც ეს ორი მდინარე მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს, ძვ.წ. III ათასწლეულ დასაწყისში პირველი სახელმწოფოს „ემბრიონები“ შეიქმნა. თავდაპირველად ისინი თემთა გაერთიანებებს წარმოადგენდნენ საკუთარი მმართველი საგვარეულო (მემკვიდრეობითი) არისტოკრატიით, ტაძრით და თავისუფალ მეთემეთაგან შემდგარი საკრებულოთი, რომელიც თავისი წრიდან დემოკრატიულ საწყისებზე სამხედრო წინამძღოლს ირჩევდა.
თემთა გაერთიანებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, თვითკმარ ქალაქ-სახელმწიფოებში გადაიზარდა., რათა საბოლოოდ, ერთმანეთის მონაცვლე იმპერიების შემადგენლობაში მოხვედრილიყვნენ.

III ათასწლეულის ბოლოსთვის ქვეყნის – შუმერის 2-3 მილიონიანი მოსახლეობა 15-ოდე მცირე და მოზრდილ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოში იყო განაწილებული. საკუთარ საკულტო და კულტურულ ტრადიციებთან ერთად, რომლებითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მათთვის საერთო იყო:
ტიპური სისტემა ქალაქ-სახელმწიფოს შიდა მოწყობისა; ყველასათვის საერთო კულტი ენლილისა ნიპურში, რომელიც წარმოადგენდა მთელი შუმერის რელიგიურ და ნაციონალურ ცენტრს; საერთო სახელწოდება მთელი მოსახლეობისა – „შავთავიანები“ (შუმ. სანგ-გიგა), რაც შემდგომ სემიტური მოდგმის ხალხზედაც გავრცელდა და, ბოლოს, მთელი კაცობრიობის სახელწოდებად იქცა; საერთო წარმოშობის დამწერლობა, რომელიც ფართო არეალზე გავრცელების მიუხედავად იდენტურობას არ დაუკარგავს, მასთან ერთად საერთო განათლების სისტემა, სკოლების (ე-დუბა) ქსელით წარმოდგენილი, ცხადია, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; ბოლოს, რაც მთავარია, ერთიანი სარწყავი სისტემა, რომელიც ყველა ქალაქ-სახელმწიფოს საზრუნავი იყო, რადგან ამ ერთიანი ქსელის წესრიგზე და გამართულობაზე იყო დამოკიდებული თითოეული მათგანის კეთილდღეობა.

ამ ქალაქებს შორის ქალაქ ნიპურს და მის მთავარ ღმერთს ენლილს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ისტორიული ხანის დასაწყისიდანვე ნიპური წარმოადგენდა შუმერის საერთო კულტურულ-რელიგიურ ცენტრს, მისი მთავარი ღმერთი მთელი შუმერული კოსმოსის ღმერთად ითვლებოდა; თითოეულ ქალაქში მას ჰყავდა თავისი წამომადგენელი, რომელიც მის ნაცვლად ახორციელებდა ქვეყნის პატრონობას. ეს იყო ენლილის ძე, სხვადასხვა სახელის მატარებელი, რომელიც სათავეში ედგა ადგილობრივ (ქალაქ-სახელმწიფოს) პანთეონს და, როგორც წესი, ითვლებოდა ქალაქ-სახელმწიფოს განმგებლის (მეფის, ქურუმის) პირად ღმერთად. ნიპური აღიარებული იყო როგორც წყარო მეფობისა მთელ შუმერზე, მისგან იღებდნენ ქალაქ-სახელმწიფოთა მეფეები ავტორიტეტს.

შუმერისთვის ნიპური იგივე იყო, რაც, ერთი მხრივ, ელადისთვის დელფო, სადაც ელინური პოლისები თავიანთ ერთობას და სოლიდარობას ადასტურებენ (ამფიკტიონი) და, მეორე მხრივ, შუასაუკუნეების რომი, სადაც ევროპელი მეფეები ინვესტიტურას ეძიებდნენ.
არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სწორედ ნიპურის ქალაქ-სახელმწიფოს ეწოდებოდა თავდაპირველად შუმერი (ქიენგირა), რომელმაც შემდეგ ჟამთასვლაში წარმოშვა თავისი წიაღიდან სხვა თემები, მომავალ ქალაქ-სახელმწიფოთა „ემბრიონები“.
რელიგიურ დონეზე ეს წარმოდგენილია, როგორც მთავარი ღმერთის ენლილის მიერ თავისი შვილებისთვის ტერიტორიების („საუფლისწულოთა“) დარიგება, რადგან მთელი მიწა მამა-ენლილის საკუთრება იყო.

ქალაქს, რომელიც, როგორც წესი, მდინარისა თუ არხის ნაპირზეა გაშენებული, გარს აკრავს დაბა-სოფლები, ღია დასახლებანი, რომელთათვისაც ქალაქი წარმოადგენს რელიგიურ, იდეოლოგიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრს. ქალაქის სტრუქტურა, თუ მას თვალსაჩინოებისთვის კონცენტრული წრეების სახით წარმოვიდგენთ, შემდეგი იქნება:

1) პირველი წრე – ეს არის საკუთრივ ქალაქი, რომელსაც რეალურადაც დაახლოებით წრის ფორმა აქვს: იგი შემოზღუდულია გალავნით, რომელიც მისი იმედი და სიამაყეა: იგი იცავს მას მომხდური მომთაბარე ტომების შემოსევისგან და აძლევს მას ხილვად ფორმას, განასხვავებს რა და გამოყოფს მას უსაზღვრო გარესამყაროსგან. გალავანი ქალაქის ღისრშესანიშნაობაა, მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რაც მას ქალაქად აქცევს. გალავანს შიგნით და გალავანს გარეთ (ლათინთა *extra muros*) – განსხვავებული სივრცეებია. ერთ-ერთი შუმერული ქალაქის ურუქის ორი ეპითეტი ორი სხვადასხვა კუთხით განსაზღვრვს მას, როგორც ქალაქს: “გალავნიანი ურუქი“ და „მოედნიანი ურუქი“. წრე ცენტრს მოითხოვს და ეს ცენტრი ქალაქში ტაძრის სახით არის წარმოდგენილი. ტაძრის გარშემო თავს იკრებს არა მხოლოდ საკულტო-რელიგიური, არამედ სამეურნეო ცხოვრებაც. არქაულ ხანაში ყველაფერი, რაც ქალაქს აბადია – სავარგულები, საქონელი, ბაღ-ვენახები, საძოვრები, არხები სატაძრო საკუთრება იყო. თითოეულ ქალაქს თავისი საკუთარი პანთეონი აქვს ქალაქის მთავარი მფარველი ღმერთით სათავეში, რომელიც, როგორც წესი, ენლილის ძეა. ყოველ ქალაქს ჰყავს მფარველი დედა-ქალღმერთი, რომელიც განასახიერებს ქალაქს, მოქალაქენი კი – მისი შვილები არიან. ისევე, როგორც ბევრ სხვა ცივილიზაციაში, შუმერშიც ქალაქი დედრული სახით არის წარმოდგენილი, რომელიც თავის კალთაში იფარებს მოქალაქეებს. ამ ასპექტში ქალაქის ქალღმერთის ეპითეტია „მრავალი შვილის დედა“ (ამა-დუმუ-დუმე-ნე). „შვილი“ (დუმუ) შუმერში, ისევე როგორც ყველგან, თავისუფალი ადამიანის მეტაფორაა, თავისუფლებას მხოლოდ დედის (*resp*. ქალაქის) წიაღში ჰპოვებენ ამიტომაც ამ ენაში შესიტყვება „დედასთან დაბრუნება“ (ამა-არ-გი) „თავისუფლების“ აღმნიშვნელ იდიომად იქცა. სანამ ტყვეობას თავდახსნილი „შავთავიანი“ არ შეაღწევს ქალაქის კედლებს შიგნით და სიმბოლურად არ დადებს

თავს დედის კალთაში, არ ჩაითვლება თავისუფლად. თავისუფალი, ქალაქის შვილი, მონას, არათავისუფალს, უპირისპირდება. ამრიგად, ყოველი ქალაქი დასახლებულია მისი შვილებით ანუ თავისუფალი მოქალაქეებით და სხვადასხვა გრადაციის არათავისუფალი ხალხით, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა (გაღატაკება, ვალის გადაუხდელობა, ტყვეობა, მოტაცება, ლტოლვილება...) მიზეზით გადადიან ამ კატეგორიაში. ამრიგად, ქალაქს ჰყავს მის წიაღში, ქალღმერთის კალთაზე, დაბადებულნი ღვიძლი შვილები, მკვიდრები, რომლებიც ფლობენ საკუთრებაში უძრავ ქონებას და მომაწილეობას იღებენ ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ქალაქს ჰყავს გერები, ხიზნები, მონები თუ მოხარკენი, რომელთაც არ გააჩნიათ ამგვარი მემკვიდრეობითი საკუთრება, რის გამოც მოკლებულნი არიან მკვიდრობის სტატუსს.

მკვიდრობა ანუ თავისუფლება დაბადებით ენიჭება ადამიანს, მაგრამ იგი შეიძლება ეწყალობოს მას საგანგებო რიტუალით, რომელიც დედის საშოდან დაბადების იმიტაციაში მდგომარეობს (შვილად მიღების რიტუალი აღწერილია „გილგამეშიანში“).

ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობა

თავდაპირველად, არქაულ ანუ დამწერლობამდელ ხანაში, ქალაქს (ურუ) მართავდა საკრებულო (უნქენ), რომელიც შედგებოდა ორი „პალატისგან“ – სენატისგან – უხუცესთაგან (აბბა) და მოყმეთაგან (გურუშ). უხუცესები, როგორც სახელი მოწმობს (აბბა შუმ. „მამები“), დიდი ოჯახებისა თუ საგვარეულოების მეთაურები ანუ მათი წარმომადგენლები იყვნენ. ხოლო მოყმენი, გურუშები – ეს სიტყვა ზოგადად ახალგაზრდა მამაკაცს აღნიშნავს – იარაღის ტარების შემძლენი. თუ უხუცესების ბაგეთაგან რჩევა გამოდიოდა, გურუშები რეალურად ახორციელებდნენ ამ რჩევას. უხუცესთა იარაღი სიტყვა იყო, მოყმეთა კი – ფიზიკური ძალა. როგორც რომაელი პატრიციები (*patricii*) იყვნენ ქალაქის მამათა (*patres*) შვილები, ასევე მოყმენი ქალაქის უხუცესთა (აბბა „მამა“, „უხუცესი“) მემკვიდრეები იყვნენ. მოყმეობის ასაკის (ანუ, რაც იგივეა, სტატუსის) გასვლის შემდეგ ისინი უხუცესთა საბჭოში თავიანთი მამების ადგილებზე გადაინაცვლებდნენ. ექსტრემალურ და კრიზისულ ვითარებებში საკრებულო ირჩევდა წინამძღოლს, ბელადს, მხედართმთავარს, ლუგალს ანუ „დიდ კაცს“, რომელიც როგორც წესი მოყმეთა წრიდან იყო.

ლუგალი ქარიზმატული წინამძღოლი იყო: ერთადერთი კრიტერიუმი, რისთვისაც მას ხალხი ირჩევდა, მხნეობა და სიქველე იყო, რაც ადამიანებში ნდობას და დარწმუნებულობას იწვევდა, რომ არჩეული ადამიანი ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანდა. მაგრამ ამომრჩეველმა ისიც იციოდა, რომ ეს თვისებები არა იმდენად მისი თანდაყოლილი პიროვნული ღირსებები იყო, რამდენადაც ქალაქის პანთეონის წყალობა მის მიმართ. ქალაქის ღვთაებები, თითოეული მათგანი თავის სფეროში, ლუგალს ანიჭებდნენ ყველაფერ იმას, რაც აუცილებელი იყო წინამძღოლისთვის. ხარიზმა ამ ნიჭთა ერთობლიობაა, რომლებსაც ის ატარებდა, ვიდრე ქალაქის პანთეონი სწყალობდა მას. შუმერის ერთერთი ქალაქ-

სახელმწიფოს – ლაგაშის მაგალითზე ბელადის ხარიზმებით აღჭურვა ამგვარად გამოიყურება:
„გუდეა, ლაგაშის ენსი, ნინგირსუს მიერ გულით არჩეული, ნანშე-ქალღმერთის მიერ მადლიანი თვალით მოხედული, ნინდარას მიერ ძალამონიჭებული, ბაბას მიერ სიტყვა-დამშვენებული, ნინხურსანგა-ქალღმერთის მიერ მადლიანი რძით გამოკვებილი, გალადიმას მიერ ზეპურობით და უზენაესი კვერთხით მიმადლებული, ნინი-ქალღმერთის მიერ კეთილ-სახელდარქმეული, ენქის მიერ სიბრძნემონიჭებული, შულგასაგან მიერ სიცოცხლის სუნთქვით აღვსებული, თავის ღმერთის ნინგიშზიდას მიერ ხალხის კრებულში პირველკაცად გამობრწყინებული...“
ლუგალის ანუ პირველკაცის სახალხოდ არჩევისას ყველა ეს თვისება და მათი წარმომავლობა იყო დეკლარირებული და ხალხის შეძახილით (ხეამ! „იყავნ!“) დამოწმებული.
ეს ორმაგი არჩევითობა – პანთეონისგან და საკრებულოსგან – შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა წყობილების დამახასიათებელი ნიშანია. ორმაგი არჩევითობა ორმაგი პასუხისმგებლობით ტვირთავს მას – პანთეონის წინაშე და საკრებულოს წინაშე. ამიერიდან ლუგალი თუ ენსი აღარ ეკუთვნის თავის თავს; მას ახალი, სტატუსის შესატყვისი სახელი დაერქმევა, კერძოდ: გუ-დე-ა, ლაგაშის ენსის სახელი ნიშნავს „პასუხს“ იმის ნიშნად, რომ იგი მუდამ მზად არის პანთეონის მოწოდების საპასუხოდ, ის მთელი თავისი არსებით განასახიერებს პასუხს.

ამრიგად, ლუგალი ღმერთების რჩეულია და, თავისი მეფობის მანძილზე, მათი მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ ახორციელებს მეფობას (ნამ-ლუგალ). პანთეონის მამა კი მისი პირადი ღვთაებაა.
ქალაქის მეფეს რელიგიური ფუნქციებიც აკისრია. ზოგიერთ ქალაქში ეს ფუნქციები წინ არის წამოწეული ანუ არ არის მკვეთრი ზღვარი სამოქალაქო და რელიგიურ ხელმძღვანელობას შორის. ასეთი გამგებელი ენსის წოდებას ატარებს. ენ-სი(გ) შეიძლება ნიშნავდეს ეტიმოლოგიურად „საძირკვლის უფალს“, იგულისხმება ტაძრის საძირკველი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მიწიერი პატრონი ტაძარს უყრის საფუძველს; ის პრინციპულად ტაძრის მშენებელია (უძველესი რომის ქურუმის სახელწოდება პონტიფექს, რაც „ხიდის მშენებელს“ ნიშნავს, ასევე რელიგიურ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული: ქურუმი აგებს სიმბოლურ ხიდს, რომელიც ამქვეყნიურ და მიღმურ სამყაროებს აკავშირებს ერთმანეთთან).
გარდა ღმერთების სამსახურისა მეფე-ქურუმს აქვს კიდევ ორი ფუნქცია, რომელიც ასახავს შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა მეურნეობის სახეებს: იგი არის თავისი ხალხის, რომლის პატრონადაც პანთეონის მთავარმა ღმერთმა (ქალაქის ზეციურმა პატრონმა) განაწესა, ერთდროულად არის მწყემსიც და მიწათმოქმედიც. ამან ასახვა ჰპოვა მის ტიტულატურაში: იგი არის, შესაბამისად, სიპა და ენგარ. როგორც მწყემსი, ის ვალდებულია, საუკეთესო საძოვრები მოუძიოს თავის სამწყსოს („შავთავიანებს“).
არქაული ხანის საბეჭდავებზე ძროხების წინ გამოსახულია ლუგალი თუ

ენსი, რომელსაც მათკენ თავთავები აქვს გაწვდილი. ის არის თავისი ხალხის „ჭეშმარიტი მწყემსი“ (სიპა-ზი).
როგორც ენგარი („მისწისმუშაკი“), მეფე-ქურუმი ახორციელებს ქვეყნის გუთნისდედის მოვალეობას, ამ სიტყვის ფართო აზრით. მას არა მხოლოდ პირველი ხნული გაჰყავს ყანაში, არამედ ახალი არხის გაყვანაც ან არსებულის განახლებაც ევალება. არხებზე ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის რეალური და სიმბოლური გამოხატულებაა. მეფის კორონაციის ტექსტში პრიორიტეტულად სწორედ ეს საქმიანობაა წამოწეული („ვინ გათხრის არხს, ვინ გათხრის არხს?“ ამ რიტორიკული სიტყვებით იწყება ტექსტი, რომელიც ახალი მეფის გამეფებას აუწყებს). მშვიდობიანი ხანის მწყემსი და გუთნისდედა ომიანობის დროს სამხედრო მეთაურად ევლინება ხალხს.

არქაულ ხანაში არჩეული ლუგალი, როგორც კი კრიზისი დაიძლეოდა, რიგით მოყმეობას უბრუნდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, პერმანენტული საშიშროების პირობებში, არჩევითი ლუგალობა (ნამ-ლუგალ) მემკვიდრეობით მეფობაში გადადის. საფუძვლიანად იცვლება მეფობის კონცეპცია: ამ დროს პანთეონის მიერ არჩეული ლუგალის ხარიზმა მის მემკვიდრეებზეც გადადის და უკვე დინასტიაც ხარიზმებით აღჭურვილი ხდება. დინასტიის ხარიზმა გადადის მის ყოველ წევრზე თაობებში. ამრიგად, ყოველი პირმშო დაბადებითვე ზიარებულია მეფობის (ნამ-ლუგალ) და ყველა სხვა ხარიზმას. და ისევ, სანამ პანთეონი ან მისი მეთაური სწყალობს და კეთილი თვალით უყურებს დინასტიას, მისი ყოველი წარმომადგენლის წარმატება გარანტირებულია.
სამეფო ნიშნები (ინსინიები), როგორც ყველგან, სადაც ეს ინსტიტუტი არსებობს, შუმერშიც საყოველთაოა. ესენია: გვირგვინი, ტახტი, კვერთხი და, ბალა, რომელშიც „ჩადებულია“ ამა თუ იმ მეფის (ან მთელი დინასტიის) წლები.
მეფობის ინსტიტუტმა სასახლე (ე-გალ) დაუპირისპირა ტაძარს (ე-დინგირ „ღმერთის სახლი“), რომელიც წარმოადგენდა ქალაქის ყველა განზომილების ცენტრს, და საბოლოოდ მისი უზურპაცია მოახდინა. სატაძრო მეურნეობის გვერდით გაჩნდა სამეფო მეურნეობა, რის შედეგადაც ქალაქის შვილები (დუმუ-დუმუ), რომლებიც როგორც თავისუფალი მეთემენი ჩაბმული იყვნენ მის მეურნეობაში, მეფის უუფლებო და უმკვიდრო მსახურები აღმოჩნდნენ.

დროთა ვითარებაში ლუგალი ღვთაებრივი აურით იმოსება.
შუამდინარეთის ისტორიამ იცის გაღმერთებული მეფეები და დინასტიები. გაღმერთებულნი იყვნენ აქადის დინასტიის მეფეები – შარ-ქალი-შარი („მეფე ყველა მეფეთა“), ნარამ-სინი („მთვარის ღმერთის შეყვარებული“), რომელიც „აქადის ღმერთადაც“ იწოდება. გაღვთაებრივებულია ურის III დინასტიის მეფე შულგი და ყველა მისი მომდევნო მეფე ამ დინასტიიდან. თუ ლაგაშის ენსის გუდეას წარწერაში მისი ხარიზმატულობა ტრადიციის ობიექტური ფაქტია, რომელიც მისი პიროვნული თვისებებით არ არის

განპირობებული, ღვთაების რანგში აღზევებული შულგი თავს ნებას აძლევს, იამაყოს ამ ხარიზმებით, როგორც თანდაყოლილი მადლით:

„მე მეფე ვარ, (დედის) საშოთგანვე გმირი ვარ,
შულგი ვარ, შობითგანვე ძლიერი მამრი ვარ,
ლომი ვარ, მზერასაშიში, გველეშაპის ნაშიერი ვარ,
სარქალი ვარ, შავთავიანთა მწყემსი ვარ,
გმირი ვარ, ოთხი კუთხის ღმერთი ვარ,
ნინსუნას ღვიძლი შვილი ვარ,
ბრწყინვალე ანის (ცის ღმერთის) გულში არჩეული ვარ,
ენლილის მიერ ბედგადაწყვეტილი ვარ,
შულგი, ნინლილის შეყვარებული ვარ,
ქალღმერთ ნინთურას მიერ სათუთად ზრუნვილი ვარ
ენქის მიერ სიბრძნე-მონიჭებული ვარ,
ნანარის (მთვარის ღმერთის) ძლიერი მეფე ვარ,
უთუს (მზის ღმერთის) პირაშკმული ლომი ვარ...“

2) მეორე წრე ქალაქის წრის გარეთ.

უშუალოდ გალავანს გარეთ ქალაქს ეკვრის სავარგულები – სახნავ-სათესი, სამიწათმოქმედო ტერიტორია (ა-გარ, განა)... ქალაქი გალავნით არის დაცული, ხოლო სახნავ-სათესი მიწები დაუცველია. ისინი მომთაბარე ურდოების მუდმივი სამიზნეა: ისინი მოისწრაფიან ყანებისკენ, ვიდრე მიწისმუშაკებს მოსავალი არ აუღიათ, რათა შერეკონ თავიანთი ჯოგები ყანებში. ჩვეულებრივ, ყანებში ქალაქის ან დაბების მკვიდრთა საქონელი მოსავლის აღების შემდეგ ძოვს. ამ თითქოს სიმბოლური აქტით ქალაქ-სახელმწიფოს ფარგლებში მშვიდობიანად თანაარსებობს მეურნეობის ორი ფუნდამენტური სფერო – მწყემსობა და მიწათმოქმედება. მწემსობამ დიდი ხანია უკან მოიტოვა მომთაბარული ხანა და მკვიდრობაზე გადავიდა. მაგრამ შუმერის ქალაქ-სახელმწიფო, განსაკუთრებით, თუ ის შუმერის ქვეყნის განაპირას მდებარეობს, მაგალითისთვის, ევფრატისპირა განთქმული ური, ნომადური ტომების შემოსევის მუდმივი საფრთხის წინაშე იყო.

და, რაც ყველაზე მეტად არის გასაფრთხილებელი და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, ეს არხებია, შუამდინარული ცივილიზაციის უდიდესი, თუმც ეფემერული მონაპოვარი რომელიც სერავს ქალაქ-სახელმწიფოს მთელს ტერიტორიას და ქმნის მის განუმეორებელ ლანდშაფტს, რასაც ყველაზე მეტად ატყვია ადამიანის ხელი. მათი ფუნქციონირების საუკეთესო ხანაში არხები თავისი მრავალრიცხოვანი რუების თუ რუსხმულების მეშვეობით არა მხოლოდ არწყულებდნენ მარჩენალ ნიადაგს, არამედ ქალაქ-სახელმწიფოს შიგნით და ქალაქ-სახელმწიფოთა შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება იყო. არხებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ ადამიანები თემიდან თემში, დაბიდან დაბაში, ქალაქიდან ქალაქში, არამედ ღმერთებიც სტუმრობდნენ ერთმანეთთან (ამ სტუმრობათა ამსახველი ჟანრიც კი შეიქმნა შუმერულ ლიტერატურაში).

3) მესამე წრე. ყანები გადადის საძოვრებში... ეს უდაბნოს პირია, სადაც მიწას მწირი მცენარეული საფარველი მოსავს. აქ ცხოვრობენ მწყემსები

ზუსტად ისევე თავ-თავიანთ ბინებში, როგორც დღეს, სადაც მწყემსური კულტურა ჯერ კიდევ ბოგინობს.

4) მეოთხე წრე: საძოვრებს იქით სანადირო სანახებია. მონადირეს ამ ადგილებში გათხრილი აქვს ორმოები, დაგებული აქვს ხაფანგები...

5) მეხუთე წრე: უდაბნო (ედენ). სანადირო ადგილები შეუმჩნევლად გადადის უდაბნოში... ეს უნაყოფო ზონაა, აქ მკვდარია სიცოცხლე. ქალაქს, მის შემოგარენს, აქედან მოელის ხიფათი როგორც ადამიანთაგან, ისე მხეცთაგან, სტიქიისგან, როგორიც არის ხორშაკი ქარი, რომელსაც მოაქვს მხურვალება და ქვიშა. ბუნებას მათი სახით იერიში მოაქვს კულტურაზე, რომელსაც ქალაქი თავისი ზონებით განასახიერებს.

შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა ისტორია შეიძლება რამდენიმე პერიოდად დაიყოს:

I. იდილიური ყოფა, რომელიც მითოსმა შემოინახა: ქალაქები ერთმანეთთან თანხმობაში არიან, მეფობა, რომელიც ციდან ჩამოვიდა, მშვიდობიანად გადადის ერთი ქალაქიდან მეორეში. ძველი კონცეპციით, მეფობა ერთია და ამიტომაც გამორიცხულია პარალელური მეფობანი. შუმერელი „ისტორიოსოფი“ ამგვარად უყურებს წარსულს: ციდან ჩამოსული ნამლუგალ მორიგება-მონაცვლეობით ყოვნდება თითოეულ ქალაქში, სანამ მისი ბალა (დინასტიისთვის იმთავითვე მინიჭებული ხანგრძლივობა) არ ამოიწურება. ცნობილ „შუმერელ მეფეთა სიაში“ ეს პროცესი თუ მდგომარეობა ამგვარად არის გადმოცემული: "მეფობა ციდან რომ ჩამოვიდა, ერიდუში იყო მეფობა. ერიდუში ალულიმი იყო მეფე. 28800 წელი იქმოდა. ალალგარი 36 000 წელს იქმოდა. 2 მეფე 64800 წელს იქმოდა. ერიდუ დავტოვოთ. მისი მეფობა ბად-თიბირაში გადავიდა..." და ა.შ.

ამგვარად არის აღქმული შუმერის ისტორიის ის პერიოდი, როცა ქალაქ-სახელმწიფოები ნებაყოფლობით იყვნენ გაერთიანებული ლიგაში ფედერაციული პრინციპით.

II. მეტოქეობის პერიოდი. ქალაქ-სახელმწიფოთა ურთიერთობაში ჩნდება ბზარი: ჰეგემონიის პრეტენზიით მორიგეობით თავს წამოყოფს ხან ერთი, ხან მეორე ქალაქ-სახელმწიფო. ერთი ხელმწიფების ქვეშ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების მოქცევის მცდელობები წარუმარტებელია. ვერც ერთი ქალაქი ამას ვერ ახერხებს. ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქის – უმას მეფე მხოლოდ დროებით იპოვებს ქვეყნის (*resp*. შუმერის) მეფის ტიტულს (ლუგალ-ქალამა). მეტოქეობა, ურთიერთუნდობლობა, გაუთავებელი ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ, ურთიერთაწიოკება (რის მაგალითად იკმარებს ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს უმა-ქალაქის მიერ ლაგაშის აკლებას), საბოლოოდ, კატასტროფის წინაშე აყენებს არხების სისტემას, რომლის სიმრთელე თითოეულ ქალაქში გამავალ არხზეა დამოკიდებული. სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც საერთოდ იწვევს იმპერიის წარმოშობას,

შუმადინარეთის პირობებში არანაკლები იყო ფაქტორი არხებზე ზრუნვისა, რაც ახალ პირობებში ცენტრალიზებული ხელისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო. შუმერის ქვეყანა უნდა გამოთხოვებოდა თავისი ქალაქ-სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, უნდა შერიგებოდა რომელიმე მათგანის ჰეგემონიას. ქალაქ-სახელმწიფოთა ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება მათი დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად უნდა მომხდარიყო. მაგრამ შუმერის ვერც-ერთმა ქალაქმა ეს ვერ შეძლო.

III. ქალაქ-სახელმწიფოთა ერთი ხელმწიფების ქვეშ გაერთიანება მხოლოდ გარეშე ძალით მოხერხდა. პირველად აქადელი სარგონი იპყრობს შუმერულ ქალაქებს და აარსებს პირველ იმპერიას, რომელიც ას წელს გასტანს. მეორედ ურის III დინასტია იტვირთავს ამ ამოცანას. მის დროს ადგილობრივი მეფეები და ენსიები იმპერატორს დამორჩილებული „გუბერნატორები“ ხდებიან. შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა თავისთავადობა იმ სახით, როგორადაც კლასიკურ ხანაში არსებობდა, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. რაც არ უნდა ითქვას ქალაქ-სახელმწიფოთა თვითკმარობის და დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, ისტორია ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევის მხარეზე იყო; შიდა და გარე პროცესები იმპერიების წარმოქმნას უწყობდა ხელს. ისტორიის სული განსხვავებული საშუალებებით აღწევდა ამას – შუმერის ქალაქ-სახელმწიყოთა შემთხვევაში ეს იყო არხებზე ზრუნვა, რაც მეფეთა ერთ-ერთი მიუცილებელი მოვალეობა იყო. ისტორიამ აჩვენა, რომ ტიგროს-ევფრატის აუზში ირიგაციის შესანარჩუნების პირობა ქალაქ-სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო; შუმერი თავდაპირველი ყაიდის, დემოკრატიული, ნებაყოფლობითი ლიგას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სარწყავ სისტემას, ვეღარ დაუბრუნდებოდა. ახალ ვითარებაში ახალ საფეხურზე ეს სისტემა ცენტრალიზებულ იმპერიულ მმართველობას უნდა აეყვანა.

იმპერიას შუამდინარეთის პოლიტიკურ ისტორიაში შეუქცევადი ხასიათი მიეცა. სარგონის, ურის III დინასტიის, ბაბილონის, აშურის, ისევ ბაბილონის, აქემენიდური ირანის, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიები მემკვიდრეობის პრინციპით ერთმანეთს ენაცვლებიან ამ მიწაზე. თითოეული იმპერია იყო ცივილიზაციის ერთგვარი შეჯამება, ერთგვარი პასუხი წარსულის მიმართ; თითოეულ მათგანს თავისი განმსაზღვრელი ცივილიზაციის ნიშანი ჰქონდა.